

დედაქადაქის იერსახის დამახინჯებისთვის ჯარიმა ოთხმაგდება



თბილისის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხენარგავებზე, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავაღ ნაწიღზე, ასევე

პლაკატების, ღობუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით ნაცვლად 50 ლარისა.

იგივე ქმედების განმეორებით ჩადენა კი 1000 ლარით დაჯარიმდება ნაცვლად 500 ლარისა. სპეციალურად თბილისისთვის ცვრილება „ადმინისტრაციულ სამართადღარღვევათ კოდექსში“ შედის.

უფრო მკაცრი იქნება სანქციები ადმინისტრაციული შენობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების იერსახის დამახინჯებისთვის – სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურად შესრულება ადმინისტრაციული ორგანოების შენობათა ფასადებზე და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით ნაცვლად 500 ლარისა, ხოლო განმეორებით ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით ნაცვლად 1000 ლარისა.

ეს სამართადღარღვევები დღესაც მოქმედებს მოქმედი კოდექსის მიხედვით, თუმცა ის მუხბრი ეხება ზოგადად ყველა ტერიტორიას.

კანონპროექტით დაგეგმილი ცვლილებები კი ცარვე დაარეგულირებს მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩადენილი სამართადარღვევებისათვის სანქციების საკითხს.